

6984

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

ნაგადუღი



საუმაგრილო ჟურნალი
მცირეფორმანობის

თბილისი

№ 12.

1917 წ.

მწიგნობარი

გაზეთი
გეორგიანული

1917

თბილისი

მედიანობა-XIII.

№ 12

თბილისი, 1917 წ.



შ ი ნ ა ა რ ს ი:

I—სურათი.....	1
II—ჩემი ტორა,—ლეჟი შიო მღვიმელისა	3
III—შაჰრის კვნიტები,—ვედრებისელისა	6
IV—ვისაც უნდა ქვეყანა სიმდიდრით გააკვიროს—ის სიღარიბით გაკვირვებს,—გ. თეძმისხვეელისა.. . . .	12
V—გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი,—თარგმანი მა- გიტასი	21
VI—გასართობი: —შარადა, რებუსი და ახსნა.....	24



ჩემი ტორა

მნდა ნახოთ ჩემი ტორა,—
რა ქალია, რა გოგონა:
ვინც კი თვალი გაუსწოვს,
უველას მან მოეწონა.

ბუტიობას ერიდება,
იცინის და სულ სითხითებს;
თავზე კოსტად გადაისვამს,
თუ თმა უშლის, ბროლის თითებს;

ოღონდ წვალი მიაწოდეთ,
თავად იბანს ჰირს და სელებს,
მასხარა და სასაცილო,
დიდხავითა ჩახველებს;



კბილებს თითოთ გაიღვრეჭავს,
გამოიბანს უელს და უურებს;
როცა სახეს შეიმშრალეს,
დების საწოლს მიაძურებს,

და რომელიც ზარმაცია—
უწინ იმას დაუქინებს:
—რა ხანია მზე წამოდგა,
აქამდისინ რა გაძინებს?!

ადე, გოგო, გაიღვიძე,
სულს ნუ-ირთმევ წოლაშია,
ჩქარა ზირი დაიბანე,
გვიანდება სკოლაშია!

მერე ისევ მობრუნდება
სავარცხელით სარკის წინა;
მაიშუნმა ნაღვლიანი
ბეჭერჯულ გულით გამაცინა:

სსვა ბაია ჰგონია იქ,
სსვა ბაიას ესმის ხელი,
სსვა ბაიას აღმაშებს
მის კოპწია სავარცხელი.

რაკი ქოჩორს გადავარცხნის,
და რა გადაუკუღულებს,
თვალს ჩაუკრავს, ჩაუცინებს
და გარეთეკნ მიცუნცულებს...

უნდა ნახოთ ჩემი ტორა
რა ქაღია, რა გოგონა,

ვინც ვაშლები გაუკორა,
ის ძიები მოეწონა.

არც წუნია ქალი არის,
ღობიოსაც კარგათ ტორავს,
როცა შაგრა გამოძება,
როგორც ბურთი—ისე გორავს!

ზიო მღვიმელი





შაქრის კენიტები

(მოთხრობა)

I



ოცა მისას შეუსრულდა ცამეტი წელიწადი, მეტის მეტი გაჭივრების გამო დედამ ტფილისში დააუენა ერთ ნაცნობ კარგ ოჯახში მოსამსახურედ. თვეში რვა მანეთი დაუნიძნეს.

— ეს ფული, ვიცი არ გეყოფა, — უთხრა ქალბატონმა სოფიომ, — მეტადრე ასლა, ამ საშინელ სიძვირეში, მაგრამ მე გიშველი: შალიკოს შარვალს გადაგიკეთებ, ნიკოს ფეხსაცმელს გასუქებ; როგორმე იოლად წახვალ. ჩემი ნინო წერბაკითხვას გასწავლის, ოღონდ იუავი ერთგული და მარდი.

— მაღლობას მოგასწენებ, ქალბატონო: განა არ ვიცი თქვენი კეთილი გულის ჯმბავი? თავის დღეში არავის არ აწუენიებთ, და არაფერს დააკლებთ. ამიტომაც აქ მოვიყვანე. მართალია ძალიან გაჭირვებული ვარ, მაგრამ ფულის სიხარბე არა მაქვს, — უპასუხა ქვრივმა ნატამ. — მინდა რაღე შეისწავლოს, კაცი გასდეს. ასლა ეს ბიჭი დაუბინავე; შინ კიდევ სუთი შვილი შეავს. სვალ სოფელში მივალ: იმთაღ უნდა მივხედო. აი ჩემი თხოვნა, — მიმართა ნატომ სოფიოს: — უკაცრავად, გესვეწები, ქუჩაში უსაქმოდ არ გაუშვათ. ასლა სამაგელი დროა: შესვდება ვინმე ბოროტი კაცი, შეაგულიანებს და გაძიუბედურებს ბიჭს.

II

დილაადრიანად გამოესალმა ნატა ამ ოჯახს, თავის შვილს, და გასწია სადგურზე, საიდანაც მატარებელი მიდიოდა სოფლისკენ.

ზირველი დღე დადონებული იყო მისა.

მთელ თავის სიცოცხლეში ახლა ზირველად შორდებოდა თავის ოჯახს. აგონდებოდა დედა, ჰატარა დაძმები და სანდა-სან ტირილი მოსდიოდა. მაგრამ ისეთი ალერსიან ოჯახში დაბინავა ბედმა ეს ბავშვი, რომ სულ მცირე ხნის განმავლობაში მხიარულ გუნებაზე დადგა. კარგად ეპურობოდნენ და სუფთად აცმევდნენ.

ცოტათი რომ შეეჩვია სამსახურს, უეიდეს „დედა-ენა“, რვეული და დაწეუბინეს წერა-კითხვა.

ერთხელ მოავლო ქუდს ხელი და სთხოვა ნინოს:

— გამიშვით და ამ საათში გიასლეებითო...

— სად მიეჩქარები?— გაუკვირდა ნინოს.

— ზურის მოსატანად რომ გამგზავნეთ, ერთი ჩვენებური კაცი ვნახე. სვალ ჩვენ სოფელში მიდის. ფოსტის ქაღალდს ვიყიდი: წერილს გავატან.

— განა შინ არა გვაქვს ქაღალდი?!— უზასუსა ნინომ:— აჰ! აბა კოსტად დაწერე, არ შემარცხვინო!

ამ სიტუაციით ნინომ გამოსწია მაგიდის უჯრა, ამოიღო ქაღალდი და კანვერტი.

ცოტა ხნის შემდეგ მირბოდა მისა ღუქნისკენ, სადაც ელოდებოდა ნაცნობი კაცი.

— ეს შენ თვითონ დასწერე?!— გაუკვირდა იმას, როცა დაა-ცქერდა კანვერტს.

— დიას, მე დაწერე!

— მე მეგონა თქვენმა „ბარიშნამ“ დაგაწერა.

— რათა? მე თვითონ ვიცი წერა!—თავმოძღვრედ უნახეს მისამ.

— ეოჩად, ბიჭო! მეც უნდა ჩამოვიყვანო ჩემი კასილი და სადმე ოჯახში დავაყენო.

— დავით, შენი ჭირიშე არ დაგკეპარგოს ეს წერილი. თუმანი ჩავდევი შიგ: დედა-ჩემს ვუგზავნი სასარჯოდ. ნახვამდის! ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. მისა შინ დაბრუნდა.

III

— დიდი მადლობელი ვარ, რომ თუმანი გამომიგზავნე, ჩემო მისა,—სწერდა დედა,—მალიან გამესარდა, რომ ასე მშვენივრად გისწავლია წერა. შენი ფულით ვიუიდე ნახევარი კოდი სიმინდი. მისაჯან, ნეტავი როგორმე მიმოგნო ჩაი და შაქარი. აქ სრულიად არ არის შაქრის შოვნა.

მოაგონდა მისას, როგორი სიამოვნებით სვამდა დედა ჩაის, როგორ უეწარდა ტკბილი ჩაი ზურით, და დაფიქრდა...

ქალბატონ სოფიოს ჰქონდა უკრაში შენასული ფუთამდის დამტვრეული შაქარი. სადაც გასაღესი იდო იმ უკრისა, ისიც იცოდა მისამ...

რადაც საბაგელმა აზრმა გაუელვა თავში.....— ჩაის შოვნა ადვილია: ჩვენ შედუქნეს მუდამ აქვს ჩაი,—გადასწევითა მისამ.—გავეკრავ ჰატარა ტომარაში, და ვინმე ჩვენებურ კაცს გავატან.

IV

ბინდაბუნდი იყო, როცა მისამ შეადო კარები, სადაც ისევე ნებდა ქალბატონი სოფიო.

ნელა, ფეხის თითებზე მივიდა განჯინასთან.

— მისა, შენა ხარ?—ჰკითხა სოფიომ.—სად იბავი? უნდა კამუფლი მომეცა შენთვის. აჰა, შეექცე!

ამ სიტუაციით სოფიომ ამოიღო ჯიბიდან ორი წვეილი, თეთრ ქაღალდში გახვეული შოკოლადის კამფეტი.

— მე ბავშვებს დაურიგე. შენი წილი კი შეგინახე. სად იუაზი? ვერ გაიგე, რომ გიძახოდი?

— ჭურჭელს ვალაგებდი... ქალბატონო. დროა სამოყარი დაუდგა?

— დადგი, შვილო.

როცა ბიჭმა გამოართვა კამფეტები, სოფიოს გაუკვირდა, რა ცივი ჰქონდა იმას ხელების თითები და ჰკითხა:

— რათ გაქვს ესეთი გაუინული თითები?

— რა ვიცი.

მისა შეკრთა.

რ

როცა მისა ჩაწვა თავის ლოგინში, ველარ დაიძინა, სულ დელაგდა.

— ოჰ, მე რას ვაპირებდი, მე უსვინიდიშო?! ისე შექცევიან აქა, როგორც თავის შვილს: მიფრთხილდებიან, მეზღერსებოან; რასაც თითონ სჭამენ, მეც არ დამაკლებენ სოლმე; მასწავლეს წერა-კითხვა, დაუდივარ სუფთად ჩაცმული. მე კი შაქრის მოწარევას ვაპირობდი!—ჰფიქრობდა მისა თავის გულში.—განა დედა-ჩემი იმისთანა დედავაცია, რომ მადლობა ეთქვა მოწარული შაქრისთვის!—ეჰ, ამოიოსრა მისამ.—ჰფიქრობდა, აგონდებოდა დედის თხოვნა და არ იცოდა, როგორ დაესენა თავი ამ გასაჭირიდან: დედას უნდოდა შაქარი... შაქრის მოწარვა ხომ ქურდობაა, ცოდვაა, სირცხვილია...

განთიადი იყო, როცა ჩაემინა მისას.

რადაც აზრმა გააღვიძა, და რო გამოერეკია—ძალიან გაეხარდა, სახეც ისე დაუშვუნდა, თითქო მზის შუქი დასთამაშებდა...



— ერთ თვეს ჩაის აღარ დაგლევე; დედა-ჩემს ჩემ წილ ჰქონდა ქარს მოუგროვებ.— დღეში შემდეგა ორი კვინტი. თვეში სა-
მოცი ნაჭერი იქნება.

გადასწვივითა მისამ, და თითქო ლოდები მოეშვა გული-
დან...

VI

მარდათ დადიოდა მისა, ასიაშოვნებდა ოჯახს.

— დედა!— მიმართა ერთ დილას შალიკომ სოფიოს:— მისა არა სვამს ჩაისა?

— როგორ არა ვსვამ.— გაუღიმა მისამ.

— მა რათ გადაღვარე ჩაი, მე რომ შემოვედი დილით სა-
მზარეულოში?

— რა, ისე... არ მინდოდა...

— აკი გიუვარდა ჩაი!

— ასეა აღარ მიუვარს.

— რათა, ბიჭო!— გაიკვირა ნინომ.

ზატარა ვასტანკმა იცოდა მისას საიდუმლო, ჯერ დაი-
წუო სიცილი, შემდეგ წაუჩურჩულა დას.

ქალმა გადაავლო ხელი მისას თავზე, შერე უთხრა:

— შენ კაი ბიჭი უოყილხარ. ნამდვილი სიუვარული ის
არის, რომ ჩვენ თავს დაგვაკლოთ და გავახაროთ ვინც გვი-
უვარს. რამდენი მოაგროვებ?

— სვალ შემისრულდება სამოცი ნაჭერი.

— მამ კარგი: ათს მე გაჩუქებ. აი ჩაიცა.

— ჩაი ნაუიდი მაქვს ნახევარი გირვანქა.

VII

ნატო ავად იყო. რჩებოდა, მაგრამ დიდი სისუსტის გამო
იწვა ლოკინში.

— ნეტა ერთი ჭიქა ჩაი მქონდეს!— დასუსტებული სმით ეუბნებოდა თავის დას—ნუშას.

— აბა რა გიუო, შენ გენაცვალე: სად ვიშოვნი შაქარს, თორემ ფუფო კი მაძლევს ჩაის...— ამოიოხრა დამ.

ეზოში უცებ ატედა ძაღლების საშინელი ეეფა.

— ვიღაც აქ მოდის!— უთხრა სოფიოს დამ და იმ წუთში გააღო კარები.

ნახდინი კაცი, თავზე ეაბალახ-შემოხვეული მიესალმა ნუცას, რაღაც შესვეული გადასცა და მიმართა:

— მისამ გამომატანა; აი ესეც წერილი. მშვიდობით ბძანდებოდეთ!

კაცი წავიდა.

ქრიაშულით დაეხვივნენ მისას ამანაოს მისი და-ძმები.

— ბავშვებო!— ჭევიროდა ნუშა:— გამეცაღეთ, არ დამაცდით? არ დამაცდით მოიცა, მოიცა, ნანო!

მაკრატლით რომ გაარღვიეს, გამოჩნდა ჩაი, შაქარი და თეთრი ზური!

დ. ვედრებიხელი





ვისაც უნდა ქვეყანა სიმდიდრით გააკვიროს, ის სიღარიბით გააკვირვებს



(ზღაპარი)

I

ყო ერთი მდიდარი სოფდაგარი. უთვალავი სასახლეები, ქარხნები და მამულები ჰქონდა. ქვეყანაზე ერთი ვაჟის მეტი არავინ შერენოდა. ვაჟს სახელად მანუჩარი ერქვა.

სოფდაგარი სულ იმას ნატრობდა, მისი შვილი კარგი გამოსულიყო, რომ სიერმით მოგებული ქონება სიკვდილის შემდეგ უბრალოდ არავის გაეფანტა. ამიტომ სათუთად ზრდიდა და ეველა სურვილს უსრულებდა.

მანუჩარი დავაჟვაცდა. თექვსმეტი წლისა შესრულდა. ემაწვილი ჯერ ცხოვრებას კიდევ კარგად არ გასცნობოდა, რომ უცებ მამა ავად გაუნდა. ბევრი ექიმები მოუყვანა, მაგრამ ავადმყოფს ვეღარაფრით უშველეს.

სოფდაგარი მიიცვალა და მთელი იმოდენა ავლა-დიდება სულ მანუჩარის განკარგულებაში დარჩა.

ემაწვილმა ბევრი იწუხა თავისი მამა. დიდი ამბით მიაბარებინა მიწას: ეველა წესები შეუსრულა. ხანმა რომ გაიარა, გლოვა გადაიყარა. მაშინვეული ქონებით თავი მოჰქონდა. უნდოდა იმაზე სახელოვანი მდიდარი არავინ ეოფილიყო.

— ვინ გამცემს სმას: რომ მოვინდომო—ქვეყანას ეირაძალა გადავატრიალებ!...—ამბობდა გუნებაში. თან იბერებოდა: თავისი ტოლი არავინ ეგონა.

ერთსელ უური მოჭკრბ ორი კაცის ღაზარაკს:

— ოცი დღის სავალზე თურმე ერთი ისეთი მდიდარი „ბულვარა“ ქალაქია, რომ სულ უგანასკნელ ღარიბსაც კი ორმოც თუმნანი ქულაჟა აცვია...— ეუბნებოდა ერთი მეორეს.

ემაწვილმა ითაკილა. იფიქრა: უთუოდ წავალ და იმ ქალაქს ჩემი სიმდიდრით გაგავიწივებო.

შეავროვა, რაც ქონება მოეპოვებოდა. ეგელა ფულად, ოქრო-ვერცხლად და თვალ-მარგალიტებად აქცია. ჩაიცვა ძვირუფასი ტანისამოსი. აჭკიდა საპალნეები ოც წვეილ ჯორ-აქლეშებსა, გაირკა წინ და გაჭევა თვითონ უკან.

ათი დღე და ღამე ატარა. მეთერთმეტე ღამეს ერთ ბიბან ალაგას გააჩერა ქარავანი დასასვენებლად.

იმ ღამეს ცხრა მძანი ეაჩაღები დაეცნენ. გაიგდეს მანუ-ჩარი წინ თავის ჯორ-აქლეშებიანად და სადღაც უღრან ტყეში მიიუვანეს თავიანთ ბინაზე. საპალნეები ჩამოხადეს; იქვე ერთ ალაგას დაუარეს. ჯორ-აქლეშები გომურებში დაბინავეს. მანუჩარი გაატრეულეს და ხეზე თოკით მიაბეს. თითონ ახლა სხვაგან წავიდნენ საშოვარზე.

ემაწვილი ძალიან შეაწუხა შიმშილმა, სიცხემ და ტყვეობამ. ღამე საუკუნედ გადაექცა. აღარა თენდებოდა.

— აჰ, ახლა აქედან გამანთავისუფლოს ვინმემ, და სხვა არა მინდა-რა...— ნატრობდა გუნებაში.

როდის, როდის გათენდა. მზემ თავის ოქროს ფერი სხივები უსვად მოაფრქვია ქვეყანას. ფრინველების ტყბილი გალობა-ჭანჭანის საამურად წკრიალებდა დილის წმინდა ჰაერში.

ხეზე მიკრული მანუჩარი კი ისევ ბედს ეძღუროდა. მშველელი არსად უჩანდა. აღარ აღსვენდა აღარც ფრინველების ტყბილი ჭიჭიკი. აღარც ბუნების სილამაზე.

— ვინ იცის, ეაჩაღები რომ დაბრუნდებიან, რა მომელის?..

სიცოცხლეს და შიშშიღს სიკვდილის შიშიც მიემატა მანუ-
ხარის გულში.

მსემ თავი შეიმაღლა. რამდენიმე სხივი დაბურული ტყის
სეპებს შუა ჩამოუშვა და გარედ დაურილ საპალნეებსაც მია-
უენა.

ცოტა ხანს უკან მიწურიდან ამოვიდა უჩაღების დედა.
ხელში ჰატარა დანა ეჭირა. ხელები აღმოსავლეთისკენ აღა-
ჰერო. რამდენიმე ლოცვის სიტყვები წარმოსთქვა; შემდეგ ერთ-
ერთ ტომარასე ჩამოჰყდა. ხეზე მიკრულ ემაწვილს ვერა ხე-
დავდა.

— ნეტა რითია ეს საპალნეები ასე გატენილი! — წაიბუტ-
ბუტა და დაუსვა დანა ერთ ტომარას.

გატრილიდან უცნებ გადმოიზნა ათასნაირი ძვირფასი ბჭეფრია-
ლა თვალ-მარგალიტი.

— ოჰ, ჩემო შვილებო! ვინ იცის, ამის ჰატრონი როგორ
შეჭსაროდა თავის სიმდიდრეს! თქვენ კი აქ ასე უბრალოდ და-
უარეთ! რად მინდა ბეჭი ცხოვრება, თუ კი ადამიანი არ მო-
მეკარება! როგორც ცისეში, ისე ვარ, ამ უკაცურ ტეეში გა-
მოშვეფდეული...

— დედა, ეგ სიმდიდრე სულ ჩემი იყო. ოღონდ აქედან
გამნთავისუფლე, სიტყვას გაძლევე — ხელს არაფერს ვახლებ.
დამილოცინა თქვენთვის...

დედაბერი შეერთა ხეზე მიკრულ, ტიტველა ემაწვილის
დანახვასე; მაგრამ თან შეებრაღა. შევიდა სადგომში. გამოი-
ტანა ერთი ძველი შალის ჩოხა, ტეავის სარტყელი, ნაბდის
ქუდი, ასსნა თოკი და ურჩია ჩქარა წასულიყო იმ არემაღე-
დან. თან ერთი თორნის ჰურიც მისცა ხელში.

მანუხარი დაადგა გზას. თავის ქვეუანაში სირცხვილით
ვეღარ დაბრუნდა. იარა, იარა, და მივიდა იმ მდიდარ ქალაქში,
რომელიც თავის ქონებით უნდოდა გაგვეორებინა.

„ბულვარზე“ ქალბქი საუცხოოდ იყო მოწყობილი. ვრელგან სისუფთავე, სელოვნება და ფუფუნება მოსჩანდა. გაჭირებას იქ ადგილი არა ჰქონდა.

თავმოყვარე მანუჩარი შიმშილმა იძულებული გახდა მოწვალეობა ეთხოვა.

გაკვირებული ხალხი უკან მისდევდა ახალგაზრდა მთხოვარს. ასე დაგლეჯილი ტანისამოსით იმათ ამის მეტი არა ვინ ენახათ.

ერთმა შეკრავმა ქალმა, სახელად გულიჯანმა, რომელიც თავის შრომით ცხოვრობდა დედასთან ერთად და სიღამაშით მთელ ქალაქში განთქმული იყო, ფანჯრიდან გადმოაწოდა ერთი თეფში ოქრო.

ემაწვილმა ჩამოართვა. თეფში რომ დაუბრუნა, უნებურად შესედა ქალს, რომლის სიღამაზესაც ერთი-ორად ამშვენებდა სიწრფელე და სათნოება.

გულიჯანის სიყვარული ჩაესახა ემაწვილს გულში.

— მე რომ ჩემი სიმდიდრე თან მომეოლოდა, ამ ქალს უთუოდ ვითხოვდი და გაგებდნიერდებოდი...—გაიფიქრა ვაჟმა და შეუღონდა გული.

ხალხი მოსასულიერებლად მიეღალა.

ამ დროს ქუჩაზე ეტლით ჩამოიარა იმ ქალაქის მმართველმა ომარ-ფაშამ.

— რა ამბავია?—იკითხა მან.

— არაფერი: მათხოვარს გული შეუღონდა და ვას ელიერებთ, — მოახსენეს დამსწრეებმა.

— როდესაც მოაბრუნოთ, ჩემთან წარმოადგინეთ, — უბრძანა ომარმა სელექციითებს და დასძრა ეტლი.

მოხელეებმა ბრძანება შეასრულეს.

მანუჩარმა უამბო ომარს თავისი თავგადასავალი.



ქალაქის უფროსმა ბინა მისცა ცალკე სასახლეში. შუა-კერვისა სამი სელი სამეფო ტანისამოსი. დილით ერთნაირს აცმევდა, შუადღისას—მეორენაირს, საღამოთი—მესამენაირს.

მაღე ქალაქში სმა გავარდა:

— ზღვათა მეფის ვაჟი მანუჩარი მოსულა გულიჯანის სათხოვნელად.

ამ სმამ მიაღწია გულიჯანის ეურამდის.

— ნუ თუ მართლად დედოფალი გავსდები?... — ოცნებობდა ქალი.

ორი კვირის შემდეგ შუამავალიც გაჩნდა.

გულიჯანის სინარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ქორწილი გადაიხადეს.

სტუმრები წავიდა-წამოვიდნენ.

მანუჩარი და გულიჯანი ჯერ კარგად არც კი დაშინაურებულიყვნენ, რომ მოადგათ კარებზე ომარ-ფაშას კაცი, სელში შეკრული ბოხნით.

— ბატონმა შემოთვალა: ეს თქვენი ძველი ტანისამოსი მიიღეთ, ჩვენი ახალი ტანისამოსი გამოგზავნეთ და სახლიც დაგვიცალღეთო, — სთქვა ახლად მოსულმა.

მანუჩარი გაშრა. სმა ვეღარ ამოიღო. ამისთანა მოტყუებას არასოდეს არ მოელოდა, ისიც ისეთი დიდი კაცისაგან, როგორიც ომარი იყო. მოაგონდა მამის დარიგება: „შვილო, ფუქსავატად არ მოიქცე, თორემ შერცხვებიო“.

— ვაი, რომ სინანული გვიან-და იყო!..

— გამაგებინეთ საქმე რაშია? — იკითხა ქალმა.

მანუჩარმა მწუსარებით უამბო ღალატი.

გულიჯანი უცემ გაბოჟნისლდა. მის თვალში ეველაფერი გამოირკვა. მაგრამ სასოება არ დაკარგა. ჰირიქით—იგრძნო გულში სიმაგრე და ღონე.

— ნუ სწუსარ! — უთხრა სასო-მისდილ მეუღლეს: — ცხოვრებაში შეშინება არ ვარცა. შუბლი გასხენი. რამდენიც და-

მორჩილდები, მტერი უფრო გაიხარებს და დაგზავრავს. მე
ხელოვანი ქალი ვარ. შრომა მიუვარს. ჩემი ნაქსოვი თქო-
მკედი ძვირად ფასობს. წავიდეთ და დედანთან ერთად ტყე-
ლად ვიცხოვროთ. ომარმა იმიტომ გვიყო ეს ოინი, რომ მე
უარი უთხარი ცოლობაზე. ბევრჯერ გავებრუნე მისი მოგზავ-
ნილი კაცი. გაიხადე და გადაუხარე ეგ ბჭევირალა საშოსი. მე
უკეთეს შეგიკერავ. აბა, ახლავე მოვმორდეთ აქაურობას!

მანუჩარმა ჩამოართვა ომარის კაცს ბოხა. გაიხდა სა-
მოსელი, შეუსვია და გაატანა ეველაფერი, რაც სხვისი იყო.

გულიჯანმა და მანუჩარმა დაუჭირეს ერთმანეთს ხელი და
დასტოვეს იქაურობა.

II

გაიარა ხანმა.

ერთ დღეს ქალაქის უფროსთან დანიშნული იყო საჩივ-
რები. რიგით ასამართლებდა ეველას.

ომარმა შეამჩნია მომჩივნებში ერთი ჩადრ-წამოსხმული,
ლამაზ-თვალებიანი მანდილოსანი. წეს-რიგს აუსვია და შეე-
კითხა:

— თქვენ რას იტყვით ახალს?

— მე ცალკე სალხაზარაკო მაქვს, თქვენო აღმატებულებავ!—
მორიდებით უპასუხა ქალმა.

ომარმა მალე დაითხოვა სალხი. ზოგს უბრძანა—ხვალ
მოდითო, ზოგს—ერთი კვირის შემდეგ, ზოგს—ერთი თვე დაუ-
ღო ვადა. ჩადრიანი კი ჰირდაზირ ცალკე ოთახში შეიყვანა.
ჩაჯდა სავარძელში და მოელოდა რაღაც საიდუმლოს.

ქალმა შესვლისთანავე უცებ გადისადა ჩადრი.

ომარის წინ იდგა მშვენიერი, წერწყლი, კეკლუცი და მომ-
სიბლავი არსება.

— აბა, კარგად მიუხურე თვალებში: ბრმა სომ არა ვარ?—
მოულოდნელად შეეკითხა ქალი.

ომარი დაიბნა.

— თქვენი თვალები მაგვალს სჯობნის... ბრწინავენ ისე,
როგორც შავი ურმის მარცვლები...— მიუგო თავბრუსდამსხუპულ
მა ომარმა.

— კოჭლი სომ არა ვარ?— ჰკითხა კიდევ ქალმა და გაიარ-
გამოიარა.

— არ ვიცი, რას შევაძარო თქვენი სიარული... ანგელო-
ზივით სრიალებო...

— ქაჩლი სომ არა ვარ?— გადმოშალა ქალმა თავიდან თმე-
ბი.— კარგად გასინჯეთ.

— ეგ ზილფ-დალალები მუქ გიშერს მაგონებს...

— საერთოდ— უსიამოვნო სანახავი სომ არა ვარ?

— ვერ გამოძითქვამს, რა გიპასუხოთ... მეტად... მეტად
კარგი ხართ... მოწვევითი ვარსკვლავი ხართ...

— მამ მომეცი სამართალი... მე ერთი დაბადის ქალი ვარ.
ვცხოვრობ ვერცხლის ქუჩაზე. უოგელ დღე მთხოვნელები მო-
მდიან... მეც მიხდა ქმრის ღირსი გავსდე, მაგრამ მამა-ჩემი
ეველას უარს ეუბნება: ჩემი ქალი ბრმა არისო, კოჭლი არისო,
ქაჩლი არისო. მოიღეთ მოწველება, აუკრძალეთ— ნუ მამცი-
რებს და გულს ნუ მიკლავს.

— მე... მე... რომ გითხოვოთ, უარს სომ არ იტყვით?—
ძლიერს გამოსთქვა ქალის სილაბაზით მოსიბღულმა ომარმა.

— ბედნიერი ვიქნები... მაგრამ მამა-ჩემი არ იყაბულებს...

— ამის დარდი ნუღარ გექნებათ... მე ახლავე ქორწილის
სამზადისს შევუდგები, და ელოდეთ ჩემ გამოგზავნილ ეტლს...

— გმადლობთ, ძალიან გმადლობთ! მშვიდობით!— სჩაქროდ
მოიხურა ქალმა ჩაღრი, და ვიდრე ომარი კიდევ ეტეოდა რასმე,
თვალ წინ გაუქრა მოჩვენებასავით.

ეს ქალი იყო გულიჯანი. ჩაირბინა კიბე, მივიდა დედანთან და მანუჩართან და ღიმილით უამბო სამაგიერო ოინი ომარის მოსატეუებლად.

III

ომარის სამ-სართულიანი სახლი, ძირიდან დაწყებული, სულ სავსე იყო საქორწილოდ მოწვეული სტუმრებით.

ქალის მოსაუვანად ეტლი უკვე წასულიყო.

ომარს გარს ესვია მთელი დიდგაცობა, რომელთაზეც მას თავი ძალიან მოსწოდა. თითონ მორთული იჯდა გაბრწყინებულ ოთახში და მოუთმენლად ელოდა ქალს, რომელმაც მოჩვენების დღიდან მოსვენება დაუკარგა.

ეტლი მიაღვა დაბადის კარებს.

ბუნებით დაჩაგრული ქალი ეოველთვის ცუდ გუნებაზე აყენებდა შვილისთვის მზრუნველ მამას, და ახლაც არ ესია-მოვნა უცხო სტუმრების მოსვლა.

— რა გნებაეთ? — ჰკითხა დაბადმა.

— ბრძანება გვაქვს: შენი ქალი ომარუაშას ცოლად უნდა მიეგებროთ.

— რას ბრძანებთ?! — გაიკვირვა დაბადმა და დაიწყო თავისებურად: — ჩემი ქალი ბრძანც არის, კოჭლიც არის, ქაჩალიც არის... როგორ ეკადრება ფაშას ასე მასხარად რომ მიგდებს!..

— როგორ თუ უარს ამბობ! აი, აი, აი! — გაბრაზდნენ ომარის კაცები და სდვეს და სდვეს დაბადს მუშტები, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ.

— გამაცაღეთ, წაიუვანეთ, რაზე მკლავთ, თქვე უღმერთებო! თუ კი ასეთ სიკეთეს მიზამთ და მოძამორებთ ჩემ საწუხარს, მადლობელი გაგიხდებით...

— სმა, კრინტი აღარ დანძრა! — შეუტოეს კიდევ. შევიდნენ სახლში, გამოიუვანეს ქალი ხალიჩით ჩასვეს ეტლში და გააქანეს.

— მოჰყავთ, მოჰყავთ დედოფალი!—გაისმა მესამე სართულდიან სტუმრების სმა და შეიქნა ერთი მიწევ-მოწევა.

ომარს სიამოვნებით აუკანკალდა გული:

— საცაა შემოიციქრიალებს ქალი და დაამშვენებს აქაურობას... როგორ დაიწვიან ჩემი მომურნეები!..—ფიქრობდა გუნებაში და გვერდსე ადგილს ამზადებდა.

— ეს როგორი უოფილა... ქა, ეს რა ამბავია!..— ისმოდან ქალების ზურგული აქეთ-იქიდან.

როდის, როდის აიუვანეს კიბეზე და ისე ხალხით შემოიტანეს სასტუმროში.

— ეს რა ამბავია?!—იკითხა სირცხვილით ალმურ ავარდნილმა ომარმა,—ჩემი მოწონებული, ჩადრ-წამოსსმული სულ სსვა ქალი იყო!.. საიდან მოიყვანეთ? ვინ გამაწილა ასე?..

— ის ჩადრიანი ქალი გულიჯანი იყო, რომელიც ახლა მანუხარს უშვენებს გვერდს,—უთხრა ერთმა ომარის გულის მოსაკლავად განკეპ მოსულმა სტუმარმა.

— ვაიძე, დამარცხებულ თავო! მამ სამაგიერო გადამიხადეს?!—შესძახა მასწინებელმა, შემლილივით წამოსტა, გავარდა აივანზე, მესამე სართულიდან გადავარდა ქუჩაში და დაიმსხვრა.

სეთ წელიწადში ერთხელ ირჩევდნენ იმ ქალაქში უფროსს. ახლაც უნდა აერჩიათ. შეიქნა მითქმა-მოთქმა. ეველასე მეტი სმა ამოუვრდა მანუხარს.

მანუხარმა და გულიჯანმა კარგა წაიყვანეს საქმე: ქალაქი უფრო გაამშვენიერეს. გააკეთეს გზები, სიდეგები, ბაღები. მცხოვრებლებს შეაუვარეს თავი სამართლიანობით. მეტი წილი ქონება სამეცნიერო საქმეებს მოახმარეს. მოისპო ეახლობა, ავაზაკობა და იყო სიუხვე და სიტკბოება.



გაზაფხული

ოვიდა გაზაფხული. ბავშვებმა მა-
შინათვე იცნეს: მშვენიერი რამ იყო,
ბრწყინვალე და მსიარული!

გარშემო დასტრიალებდნენ ჩი-
ტუნები და ჰეპლები, ფეს-ქვეშ
ეფინებოდა ევაგილები. გაზაფხულ-
მა თან მოიტანა სითბო, სინათ-

ლე და ფერად-ფერადი ევაგილები. ჩი-
ტები მსიარული ჭიკჭიკით შეუდგნენ ბუ-

დეების კეთებას. ეველას უსაროდა გაზაფხულის მოსვლა, ევე-
ლაზე უფრო კი ჩიტებს და ბავშვებს.

გამარჯვება შენი, მშვენიერო, სინატრელო გაზაფხულო!

ზაფხული



ოვიდა ზაფხული.

— ვინა ხარ? — შევეკითხნენ ბავშვები.

— მე ვარ წელიწადის არე. მე მოვიტანე სიცხე-ზაზანა-
ქება, სეტევა და ჭირნახულისთვის წვიმა. უანებში დამწოდუ-
ბა ზური, ტეე-გელი მოიკასმება ევაგილებით. სეები გამოის-
ხამს სილს.

ოჰ, რამდენი სიამოვნება და სისარული მოეღოს ბავშვებს!

ზამთარი



ემოდგომა მოვიდა წარბ-შეკრული, მოღუშული, ქოლ-
გით ხელში, წინ ქარი მოუშდოდა.

— ვინა ხარ?— შევეითხნენ ბავშვები.

— მე ვარ წელიწადის არე— შემოდგომა. მე მოვიტანე წვი-
მა, ქარი და ნისლი. ხის ფოთლები წითელ-ყვითელფერად
შევღებე. უნდა დაუბაქარო ჩიტები, გაემკვარონ თბილ ქვეუ-
ნებში, თორემ ზამთარი მომდევს და ძალე აქ იქნება.

სამაგიეროდ თქვენ ბაღებში ჩამოგვიდე გემრიელი მწიფე
ვაშლები, მსნელები, ქლიავი, ატმები და ბევრი სხვა ხილი;
დაუბამწიფე ყურძენი, ავაგსე ბოსტნები. აბა ტყეში შეიხედეთ
რამდენი სოკოები!

ბევრი ტბილი სასუსნავი მოუტანე ზატარებს.



ზამთარი

ამთარი მოვიდა მთლად შებურვილი თეთრი და ცივი.

— ვინა ხარ შენ?— შევეითხნენ ბავშვები.

— მე ვარ წელიწადის არე— ზამთარი. მე მოვი-
ტანე თოვლი და ძალე თეთრ ბეწვიან საბანს გადავაფარე
დედა-მიწას. მერმე მოვა ჩემი ძმა— უინვა და გაუინავს მინდუ-
რებს და მდინარეებს, და თუ ბავშვები ბევრს იცუღლუტებენ
გაუეინავს ხელებს, ფესვებს, ყურებს და ცხვირს.

— ოჲ, რა ავი უოფილა ზამთარი, რა საძინელი ძმა ჭეო-
ლია!— სთქვენს ბავშვებმა.

— დაცხათ, ბავშვებო... საჩუქრებიც მომაქვს თქვენთვის:
თხილამური, ციგა და მარხილი, ისრიალეთ ეინულსე, იბურ-
თავეთ თოვლის გუნდებით, გააკეთეთ თოვლის ტიკინები. მერ-
მე მოვა შობა, მას მოჭეუება თქვენი საუფარელი, მსიარული
შობის სე და ბაბუა-უინვა თავისი საჩუქრებით.

აბა ახლაც იტყვით ზამთარი ავი უოფილა?



შპრადბ

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ)

აიღეთ სისგან ნაკეთი,
რომლის ალაგი წუალშია;
შიგა სსედან და სცურავენ
ქალი, კაცი და ბავშვია.

მისი მეორე მარცვბლი,
ზირველს მოსტაცეთ თქვენაო:
და რასაც ქვევით მოგითსრობთ
მას მიაკერეთ ნელაო.


ასოა ჩვენი სახისა,
თვალეების შუა მდებარე;
მის სასელს ჩუმად მარცვბლი
მხოლოდ მეორე მოჭზარე.

ერთად ცსოველი გამოვა,
ასსია დიდი უურბები;
კუშინ ეზოში ავეირდა,
მთლად დააფეთა მდგბურები...



რეცეპტი

(წარმოდგენილი დ. ულაიზაშვილის მიერ)



ქალის
სახელი

იმავე
ქალის
სახელი

კავში-
რი

10, 2

ჩემი მშობლე-
ბის ქალიშვილი
ჩემი რა არის?



ხელოვნურად გაყვანილ
მდინარეს ბალ-ვენახების მო-
სარწყავად რა პეჩია?

მე მია-
მა იმას?

მე-11 №-ში მოთავსებულ რეცეპტის განხილვა:

ჩიტი შემოჯდა ხეზედა, პორთო ჭიკჭიკა საამო.



9/1744

ქართული
ნაციონალური

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი „**ნაკადული**“ წელიწადი
მეტამეტე. მეტამეტე.

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუბნალი ზამთრის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.**—იმათ. თვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.** გაგზავნით—**3 მან.** 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მან.** გაგზავნით—**3 მან.** 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნით—**3 მან.** 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. №8. Редакция „Накадули“, Головинский пер. №8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, №2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაისში—ისიდორე კეიკარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავარიშვილთან. ფოთში—ლუღმშილე მეგრელიძესთან. ბათუმში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ღ. სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან დინო ლომოურთან. ჭიბუჭაში—ივ. გომელაურთან. ხონში—მ. ი. ქავჭანიძესთან. მიხაილოვოში—გო. ორგი ნაკაშიძესთან. ოზურგეთში—სალომე ხუნდაძესთან, ლანჩხუთში მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.